ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2895567

ნომერი: AR1447491

თარიღი : 07.10.2016

გაცემის თარიღი : 01.11.2016

გაცნობის თარიღი : 01.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 27 , (ნაკვ. 5/14) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N27-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ორგანიზაცია:

- არკო კოდი: 405038739

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 07/10/2016 წ. №AR1447491 განცხადებით მომართა ზურაბ აბზიანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებაში დაშვებული ხარვეზის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებით, ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ.N27–ში, (ნაკვ. 5/14)–ში, შპს "ვაზისუბანი 15"–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ.№01.17.10.005.063) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 27 სექტემბრიდან 2018 წლის 27 მარტის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა ავტოსადგომის ფართობის მაჩვენებელი, კერძოდ, ავტოსადგომის ფართობი 1608.39 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1802.9 კვ.მ.–ს. ამასთან, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა შესწორებული გეგმა ±0.00 ნიშნულზე.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი და წარმოდგენილი გეგმა ±0.00 ნიშნულზე შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.

ამასთან, ავტოსადგომის ფართობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის ცვლილებამ, გამოიწვია ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლა, რომელიც 12994.0 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 13188.51 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკურ–ეკონომიკური ხარვეზების გასწორების თაობაზე და 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმის ±0.00 ნიშნულზე ჩანაცვლება 07/10/2016 წ. #AR1447491 განცხადებით წარმოდგენილი ±0.00 ნიშნულის გეგმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 13188.51 კვ.მ. და ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1802.9 კვ.მ.
2. სამსახურის 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებით შეთანხმებული გეგმა ±0.00 ნიშნულზე ჩანაცვლდეს 07/10/2016 წ. # AR1447491 განცხადებით წარმოდგენილი ±0.00 ნიშნულის გეგმით. სამსახურის 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებით შეთანხმებული დანარჩენი გეგმები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.09.2016 წ. №2857435 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.